ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

ЧТ 12



აღდგომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 12

# შინაარსი:

1, მეთაური:—ა) უნდა აღსდგე! ბ) საქმე და არა სიტყვა (კიდევ აჭარელებზე) 1
2, დ. ჭანჭათელი—აღდგომა ღამეს 2
3, ქნარი—⁂ ლექსი 3
4. ივ. გომართელი—მემკვ დროება „
5, ნიკო გურული—დაბა სოფლის მოღვაწენი: კ. ი. ძნელაძე 5
6, ს. ფაშალიშვილი—შუაღამისას „
7, ზ. ჩხიკვაძე—პ. ი. ჩაიკოვსკი (დასასრული) 7
8, სარიყამიშის გმირი—ტ. ვაშაკიძე 8
9, აკიკის ნაკვესები „
10, გ. ქუჩიშვილი—ხალხის გული 6
11, გალაკტიონ ტაბიძე—ატმის ყვავილები „
12, დავ. მესხი—მოფურჩხულია, ერთ მოქმედებიანი ვოდევილი 10
13, პ. დვანელი—სამშობლოს გარეშე 11
14, ის. ვარაზაშვილი—კიდევ ერთი მიზეზი 13
15, ქართული სახიობა 15
16, წვრილი ამბები „
ს უ რ ა თ ე ბ ი: აღდგომა'; ილ. მ. ჩიქოვანი, ვ. გ. წერეთელი; ვ. რ. კორძაია; კ. ი. ძნელაძე; ტ. დ. ვაშაკიძე და ნ. გამრეკელ—თორელი.
განცხადებანი.

**ფ ო ს ტ ა**

**ქუთაისი.** მ—ს. დაიბეჭდება.
**იქვე** ი. ბ—ს. ვერ იბეჭდება.



**ახალგაზდა მომღერალი ილ. სავიცკი-რუსსელი**
კვირას, 29 მარტს „საზოგადო საკრებულოში“ (გრიბოედოვის ქ., № 22) გამართავს
## სალიტერატურო-ვოკალურ საღამოს

---


## „არისტიულ საზოგადოების“ დარბაზში
ოთხშაბათს მარტის 25-ს
**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება მართავს სალიტერატურო-სამუსიკო სასიმღერო დილას**

# აკაკი წერეთლის
ღვაწლის აღსანიშნავად

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა თ წ ა ი კ ი თ ხ ა ვ ე ნ

**კიტა აბაშიძე**—„აკაკი და ილია“
**ივ. გომართელი**—„აკაკი“
**სოფ. მგალობლიშვილი**—„მოგონებანი“
**გრ. რობაქიძე**—„აკაკის ქნარი“

**აკაკის ლექსებს** წაიკითხავენ **ც. ამირაჯიბი, ნ. დავითაშვილი და ა. იმედაშვილი**

**ს ი მ ღ ე რ ა** **მ. შავერზაშვილისა** (აკომპ. თ. შავერზაშვილისა) და **ქართულ მომღერალ-მგალობელთა გუნდისა** (ქულაჯებიანი) **მიხ. ღომიძის** ლოტბარობით

**აშუღების დასტა** ცნობილ აშუღის **ჰაზირას** მეთაურობით შეასრულებს აშუღულ ჰანგებზე გადაღებულ აკაკის ლექსებს

**დასაწყისი შუადღის 12 საათზე**

დარჩენილი ბილეთები (3 მ.—50 კ.) იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბილეთების დაკვეთა შეიძლება ტელეფონითაც (17—00) დილის $8^1/_2$—10 ს.

# თეატრი და ცხოვრება

№ 12

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან"-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба" I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის" სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 12 კვირა 22 მარტი 1915 წ.


## 22 მარტი

**უნდა აღსდგეს!**

„პირველითგან იყო სიტყუა... და სიტყვა იგი ხორციელ-იქმნა, და დაემკვიდრა ჩვენ შორის"...
ბრძანებს მოციქული იოანე.

და, აჰა, დღესაც მთელ საქრისტიანო ქვეყნიერობაში გაისმის:

„ქრისტე აღსდგა!"

და ამ სიტყვით ვიგონებთ იმას, რომელიც მრავალტანჯულ, დევნულ-წამებულ ხალხს მხსნელად მოევლინა, იმას, რომელმაც არა იცოდა ვინ იყო ელლინი და ებრაელი, და ადამიანთა მოდგმას მისცა უმაღლესი მცნება ძმობა-ერთობა-სიყვარულისა...

მაგრამ ჟამთა მსვლელობასა შინა მოძღვრება მისი მტარვალთ თავის ბატონობის იარაღად გარდაქმნეს, ნათელი აზრი მაცხოვრის მოძღვრებისა დააბნელეს, ცხრა კლიტულში ჩაჰკეტეს და ხალხს მხოლოდ ცარიელი სიტყვა „ქრისტე აღსდგა!" გააზპირებინეს.

„ქრისტე აღსდგა!" განისმის დღეს მთელ საქრისტიანო ქვეყნებში, მაგრამ ამავე დროს ეს, ქრისტეს მაღიარებელი, მოწინავეერნი დაუნდობელის სიმძაფრით ჰღვრიან ურთიერთის სისხლს: ძმა ძმაზე აღსდგა, კაენის შურმა გაიღვიძა, ქრისტე და მისი მოძღვრება ფეხქვეშ გაიქელა!..

„ქრისტე აღსდგა!"- და ამავე დროს მამული ჩვენი კვალად განიცდის კირთებს სიმძიმესა..

—

**საქმე და არა სიტყვა**
(კიდევ აჭარელებზე)

კბილის ჩიჩქნით კუჭი არ გაძღება, ნამცეცები მშიერს ვერ დააოკებსო... მიუხედავად ამისა, აჭარელთა შემწეობა ჩვენ მაინც კბილის ჩიჩქნით დავიწყეთ.

ისევ ხალხმა გაიკრა ჯიბეს ხელი, ბობოლანი კი სდუმან...

ჩვენ ხუთი კვირის წინად (15 თებერვალს. იხ. „თ. და ც." № 7) ვსწერდით აჭარელთა გაჭირვება-დახმარების შესახებ. ამის შემდეგ რამდენიმე წერილი მოთავსდა გაზეთებში. ორი კვირა იქნება რაც ჭაიდარ ბეგ აბაშიძემ სამართლიანი საყვედურით აღსავსე წერილით მიმართა ქართველ საზოგადოებას („სამშობლო"-ში, შემდეგ სხვა გაზეთებმა გადაბეჭდეს), და მიუ-

ხედავად ყოველივე ამისა, ვიმეორებთ, მხოლოდ ხალხმავე დაიწყო თვისი წვლილის გზავნა რედაქციებში... ბობოლანი, მოწინავენი კი სდუმან, ან მხოლოდ ჩურჩულებენ!..

ამავე დროს ჩვენი ფხიზელი მეზობელთა თავგამოდებული მეცადინეობით თითქმის მთელს იმპერიაში შემოწირულებას გროვდება სპარს-ოსმალეთიდან გამოქცეულთათვის, ჩვენს დედაქალაქში გაცხარებული მუშაობაა მათი ყოფაცხოვრების მოსაწყობად, — პატივი და დიდება ასეთ ფხიზელ ხალხს, — და ჩვენ კი ისე ვიქცევით, თითქო ვიღაცისა და რიღაცის გვერიდებოდეს..

დადგა დრო, როდესაც ჩვენს გათიშულ — გაგარევებულ ძმებს თვალნათლივ უნდა დაუმტკიცოთ არა თუ მხოლოდ ჩვენი თანაგრძნობა, არამედ ისიც, რომ ჩვენ ერთნი ვიყავით ძველად ლხინში, ერთივე უნდა ვიყვეთ ახლა — ჭირში, და მომავალშიაც..

ნუ თუ აქ დაყოვნება გვმართებს?!

უმოქმედო ლაპარაკი, საგაზეთო წერილები არა კმარა. საჭიროა მთელმა ქართველმა ხალხმა, მოწინავე საზოგადოებამ, საფინანსო, საქველმოქმედო, წოდებრივმა და სხვა დაწესებულებათ სათვალჩინო თანხა გადასდონ დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოდ, თბილის-ქუთაისს და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქ-სოფლებშიაც გაიმართოს დიდა — სადამოები, ამავე მიზნით, აჭარაში გაიგზავნოს შესაფერი კაცები საჭირო ცნობების შესაკრებად და დახმარების აღმოსაჩენად, შეიქმნას მუდმივი კომიტეტი, რომელსაც განსაკუთრებით აჭარელთა დახმარება-შეწევნის საქმე უნდა მიენდოს და თუ ომისა ანუ სხვა რაიმე მიზეზით გახიზნულ-დაწიოკებულ აჭარელთა მამა-პაპისავე ბინაზე დაბინავება შეუძლებელია, ჩვენსავე სამშობლოში გაუჩინოს ბინა, სადაც ჯერ არს შუამდგომლობა აღიძრას, რომ აჭარელთა დახმარების საქმე უკეთ მოეწყოს და სხ..

აჭარელთა ბედ-იღბალი ჩვენის ქვეყნის დიდი და მწვავე საკითხთაგანია, როგორც ქართველი გვარტომის ხალხისა, და იგი არა ნაკლებ საყურადღებოა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც...

ამიტომ ნუ ვჭყოვნებთ... სიტყვას საქმეც მივაყოლოთ...

# აღდგომა ღამეს

## I

ქალაქს არ სძინავს. ზარების განუწყვეტელი ხმა მწყობრად გაისმის ქალაქის განიერ ქუჩებში. ქალი, კაცი, დიდი და პატარა, ყველა ფერად ტანსაცმელებში გამოწყობილი ეკლესიისაკენ მიეშურება.

ყველას პირის სახეზე რაღაც გამოუთქმელი სიხარული დასთამაშებს, ყველა ცდილობს მხიარულად შეეგებოს ბედნიერ დღეს.

მშვენივრად მორთულ მდიდრულ დარბაზში გაისმის დამატკბობელი ხმა როიალისა.

სახლის წევრნი უსაზღვრო სიხარულს განიცდიან...

საგანგებოდ გახამებულ თეთრ ტანსაცმელებში გამოწყობილნი ემზადებიან დიდებულ დღის შესახვედრად. ვეებერთელა მაგიდაზე ათასნაირი საჭმელებია.

მშვენიერი და რაღაც საოცნებო ელფერი აძევს ყველაფერს.. ყველას სახეზე ღიმი უკრთის, ყველას უხარის.. იცინიან, კისკისობენ...

მთელი ოჯახი სიხარულს მოუცავს...

## II

ქალაქის ღარიბთა უბანში სრული სიჩუმეა, აქაც მიდი მოდიან, მაგრამ უფრო ზანტად, უფრო უგულოდ. აქ ყველაფერი ერთფეროვანია, ძალდატანებითი, უხასიათო!

უნდათ დიდებულ დღეს მხიარულად შეხვდენ, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა მათ სხეულს ბოჭავს, უნდათ იმხიარულონ, მაგრამ ჩვეულებრივ ფარგალს ვერ გასცილებიან.

მოწყენილობა ღარიბთა უბანში.

ერთ პატარა ოთახში დაღონებით ზის გაბრო. პატარა სანათი უნავთობით ძლივს ლა ბჟუტავს, ძველ ქვეშაგებში გახვეულთ, ორ პატარას იატაკზე სძინავთ.

სიჩუმეა.

გაბროს შავი, უსაზღვრო ფიქრები ზარების გუგუნს თან მიჰყვება.

— ხვალ აღდგომაა! — ფიქრობს იგი;

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ილია მ. ჩიქოვანი**
ქ. ქუთაისის მოურავი
(მეორედ არჩევის გამო)



**ვასილ გ. წერეთელი**
30 წ. სამწერლო მოღვაწეობის შესრულებისგამო

და... ამას ჩვენ ჩაგრულნი უფრო უნდა ვდღესასწაულობდეთ.. ჩემს პატარებს კი პური შიათ.. გუშინ კუჭი არც კი გაუძღიათ... აი, ეხლაც სიმშილს ძილში იკლავენ... ხვალ ბედნიერი დღეა და.. ეჰ, ჩემო საწყალო ბავშვებო! ხვალ წითელი კვერცხი არა გაქვთ და სხვის ბავშვებს უნდა დაუწყოთ ცქერა.. ეჰ! მწარედ ამოიოხრა გაბრომ და მწუხარებით სავსემ თავი ძირს დახარა, მის თვალებზე კი ობოლი ცრემლები გადმოეკიდნენ... გრძნობს დიდებულ დღის მოახლოებას, და რავდენადაც ამას გრძნობს, იმდენად მეტი მწუხარება და ნაღვლიანობა მოიცავს მას.

ხვალ აღდგომაა!

მაგრამ გაბროსთვის კი, ის უფრო მწარეა ჩვეულებრივ დღეზე.

ფიქრს, შავ ფიქრებს მოუცავს პატარა ოთახი.

**დ. ჭანჭათელი**

* *
*

როს ქვეყნისთვის წამებულის
წმიდა ხატი მაგონდება,
მაშინ რაღაც უხილავი
გულსაკლავად მეუბნება:

— სტირის, სტირის მარიამი!
თმებს იგლეჯს და ცრემლად დნება...
და გოლგოთაც, როგორც უწინ,
დღესაც სისხლით იღებება!..

**ქნარი**

# მემკვიდრეობა

ლუკა ლუკასძემ თუმცა სიყვარულით შეირთო ცოლი, თუმცა ცოლი საკმაოთ ლამაზი ჰყავდა, თუმცა ის უკვე ოთხი შვილის მამა იყო, მაგრამ მაინც ქალებში ამოსდიოდა სული.

— ქალები ძალიან მიყვარს, რა ვქნა! იტყოდა ხოლმე ის ბევრჯერ თავის ამხანაგებში და სიამოვნებით თავის გრძელ ულვაშებზე გადისვამდა ხელს.

— ერთი ეს მითხარი, ნუ თუ ცოლს არსად დაუჭერიხარ ან ერთხელ მაინც არ აულია ეჭვი? დაეკითხებოდენ ამხანაგები.

— ჩემს სიცოცხლეში ბევრ ქალს დავახლოვებივარ, მაგრამ ეჭვიც კი არ აულია ჩემს ცოლს, ეჭვიც!

— როგორ ახერხებ მერე?

— ეეჰ, ეს ერთგვარი ნიჭია, სწავლება ამისი შეუძლებელია, ვისაც ეს ნიჭი ბუნებით არ დაჰყოლია, ის ამას ვერ მოახერხებს, იტყოდა ლუკა და თან გულში ჰფიქრობდა:

— დიდი ეშმაკი კი ბრძანდები ჩემო ლუკა! რამდენჯერ გიღალატნია ცოლისათვის და ერთხელაც არ დაუჭერიხარ, ერთხელაც!

ლუკამ ხშირათ იცოდა მტკიცება; მამაკაცის ბუნება ბევრ ქალს ითხოვს, დედაკაცისა კი მხოლოდ ერთ კაცსო.

— ოო, ბუნება დიდი რამ არის, იმის წინააღმდეგ ვერავინ ვერ წავა! იტყოდა ხოლმე ლუკა ლუკასძე.

თუმცა ის არ იყო ლამაზი, ცხვირი დაჩიჩქნილიც კი ჰქონდა ყვავილისაგან, მაგრამ ქალებს მოსწონდათ.

ლუკა ლუკასძე კარგი ტანადი იყო, გრძელი, სქელი და მოხდენილი ულვაშები ჰქონდა, გრძელი ცხვირი, მსხვილი ხელები, ჭიისაგან შეჭმული კბილები; მეტი, მგონია, არაფერი; ქალებში კი მას მართლაც ფასი და გავლენა ჰქონდა.

რისთვის მოსწონდათ ქალებს, მართალი გითხრათ, არ ვიცი ქალის გემოვნებას ან კი ვინ რას გაიგებს: ზოგჯერ ისეთი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწონება, რომ ზედ არ შეაფურთხებთ.

თუმცა ლუკა ქალებს ეარშიყებოდა, მაგრამ ცოლი მას ძალიან უყარდა, ერთხანებში ექვიანობდა კიდეც, როდესაც მესამე შვილი რვა თვეზე დაებადა. როცა იმის ცოლს მეოთხე შვილი შვიდ თვეზე მიეცა, ლუკას ეჭვი თითქმის ძალიან გაიზარდა, ცოლს სიტყვაც კი გადუკრა. ცოლს ჯერ ძალიან ეწყინა, იტირა კიდეც; შემდეგ ფიცი დაიწყო: მე ამგვარი მოდგმა მაქვსო.

— დედაჩემს ერთი ქალი და ერთი ვაჟი მეშვიდე თვეზე ეყოლა. მე თვითონ ხუთი კვირა დამაკლდა. ბებიაჩემი თურმე სულ მერვე და მეშვიდე თვეზე რჩებოდა.

ამის შემდეგ ლუკა ლუკასძე სრულებით დამშვიდდა, არა თუ დამშვიდდა, ბოდიშიც კი მოიხადა ცოლთან, ტუჩებში და ხელებზე რამდენჯერმე აკოცა.

— მემკვიდრეობა ახირებული რამ არის. ამბობდა ხოლმე თავისთვის ლუკა.

თუმცა მისი უკანასკნელი ვაჟი ძალიან ჩამოჰგავდა ოლქის სასამართლოს სეკრეტარს, მაგრამ ლუკამ კარგათ იცოდი, რომ ზოგჯერ ბავში იმას გამოეგვანება ხოლმე, ვისაც დედა ორსულობის დროს დაკვირვებით შეხედავს.

სეკრეტარი კი მათი ძველი ნაცნობი და მეგობარი იყო, მათთან ხშირათ დადიოდა და რასაკვირველია, ლუკას ცოლს არა ერთხელ და ორჯერ შეუხედავს მისთვის ორსულობის დროს.

ქალაქში საოპერეტო დასი ჩამოვიდა, ლუკა ლუკასძეს ერთი მსახიობი ქალი საშინლათ მოეწონა. იმდენს ეცადა, რომ გაიცნო.

ლუკა ლუკასძემ მიიშველია მთელი თავისი გამოცდილება, ხერხი და ეშმაკობა და ბოლოს თავის მიზანს მიაღწია. როდესაც ისინი ერთ საუკეთესო რესტორანში განცალკევებით ვახშამს შეექცეოდნენ, ქალმა ლუკას რამდენჯერმე ხელზე აკოცნინა და შემდეგ დრო დაუნიშნა: დღეს საღამოს ცხრა საათზე ჩემთან მოდი სასტუმროშიო.

— დღეს სამსახურის საქმეებისა გამო თათბირი გვაქვს სამართველოში და ნაშუაღამევამდე ნუღარ მელი. უთხრა ცოლს ლუკამ საღამოს ჩაის შემდეგ, სარკესთან ჩაიცვა, ულვაშები გაისწორა, სარკეში რამდენჯერმე ჩაიხედა, შემდეგ ცოლს რამდენჯერმე მაგრათ აკოცა და გასწია.

ლუკა ლუკასძეს ერთი ჩვეულება სჭირდა: როცა ცოლის საღალატოთ წავიდოდა, ცოლს განსაკუთრებით მაგრათ ჰკოცნიდა.

თუმცა რვა საათზე მეტი არ იყო, მაგრამ ლუკამ მაინც ვეღარ მოიცადა სახლში, ნახევარ საათს იარა ქუჩაში და შემდეგ მიაშურა სასტუმროს.

აიარა კიბე, გაუხვია მარჯვნით. აგერ ოცი ნომერიც. ტუკ ტუკ, ტუკ. დააკაკუნა თითებით კარზე ლუკამ და შეაღო კარი.

შუა ოთახში მაგიდა იყო გაშლილი. გარშემო ისხდენ ორი ქალი—ერთი მათგანი ლუკას ნაცნობი მსახიობი—და ორი გამოწკეპილი კოხტა აფიცერი.

ერთი აფიცერი რაღასაც უამბობდა, ქალები კისკისებდენ. ლუკას შესვლაზე ქალებმა სიცილი შესწყვიტეს, აფიცრები გაჩუმდნენ.

ლუკა გაშტერებული შესდგა. ერთწამს იფიქრა, ხომ არ შემეშალაო, მაგრამ ოცი ნომერი ძალიან კარგათ ახსოვდა და ქალიც ხომ ის იყო.

— თქვენ ვინ გინდათ? დაეკითხა ერთი აფიცერი.

— თქვენ ალბათ შეგეშალათ. უთუოთ სხვასთან მიდიოდით! მიმართა მას ნაცნობმა ქალმა ეშმაკურის ღიმილით, რომელშიაც დაცინვა იხატებოდა.

— როგორ თუ შემეშალა! თქვენ არ დამიბარეთ? ვეღარ მოითმინა ლუკამ.

— ერთი უყურეთ, რა რაინდია! წარმოსთქვა ქალმა და გადიკისკისა, მას აჰყვა მეორეც.

— ფრტ, ფრტ! მარშ! მიბრუნდით და გაეთერით ახლავე! ამ წუთში! კოხტათ წამოიძახა ერთმა აფიცერმა და კარისაკენ ხელი გადუქნია.

ლუკა ლუკასძე უძრავათ იდგა. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ ასე კუდამოძუებული გამობრუნებულიყო.

— მაშ არ მიხვალ, რაღა! წარმოსთქვა აფიცერმა, წამოხტა და თვალის დახამხამებამდე მოატრიალა ლუკა.

კარის გაღება, პანდური და ლუკას გარეთ გამოტყორცნა ერთი იყო.

ქალების მადიანმა კისკისმა იქაურობა შეარხია. კარი მაგრათ მიეხურა.

ლუკა ორივე ხელებით კედელს ეხეთქა და ქუდი გადუვარდა. გაიწმინდა ხელები, ქუდი აიღო, გაისწორა, დაიხურა, ნომერს შემოხედა და გაბრუნდა,

— ააჰ, ერთი შენი თავი მომცა ახლა ხელში! როგორ გათრევ ქოჩრით! ჰფიქრობდა გზაში ლუკა და თან ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა.

— მხოლოდ ქოჩრით მათრევინა, ქოჩრით, მეტი არაფერი არ მინდა! ამბობდა ის გულში და ითვლიდა იმ მანეთებს, რაც მსახიობი ქალის სამი ვახშამი დაუჯდა რესტორანში.

ლუკამ ვერც კი შენიშნა, როგორ მოუახლოვდა თავის ბინას. ისეთ ხასიათზე იყო, დანა რომ ვისმეს ჩაეკრა, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა.

ასე მალე სახლში დაბრუნება მას უხერხულათ მიაჩნდა მით უმეტეს, რომ საძაგელ გუნებაზე იყო და ცოლი შეამჩნევდა.

აიარა და ჩაიარა რამდენჯერმე ქუჩაზე ლუკამ, მაგრამ მობეზრდა და, ზარის რეკვა რომ არ დასჭირვებოდა, ეზოდამ შევიდა, კიბე აიარა და შევიდა სახლში.

ყველგან სრული სიჩუმე იყო

— ბავშვები დაუძინებია ჩემს ცოლს და ალბათ თვითონაც ჩასძინებია. იფიქრა ლუკამ და პირდაპირ დერეფანისაკენ გასწია, რომ პალტო გაეხადა და თავის კაბინეტში შესულიყო.

ტანისამოსის ჩამოსაკიდზე პალტო ეკიდა და კაკარდიანი ქუდი. დაათვალიერა ლუკამ,—სეკრეტარის პალტო და ქუდი! ლუკამ შეიხედა სასტუმრო ოთახში, მაგრამ იქ არავინ არ იყო.

მას სახე დაუგრძელდა და ტანში ცივათ დაურბინა. ფეხაკრეფით გამოსწია საწოლი ოთახისაკენ; პატარახანს შედგა, კარებთან რომ მოვიდა, თითქოს რაღასაც ჰფიქრობსო, შემდეგ ცოტა გვერდზე გადგა, მოიხარა და ყური დაუგდო. არაფერი არ ისმოდა. ლუკამ კლიტის ენა წყნარათ ასწია და შეიხედა ცალი თვალით.

ოთახში სანათი დაწეული იყო. პირდაპირ ლოგინზე ლუკას ცოლი და სეკრეტარი წამოწოლილიყვენ და სრულ თავდავიწყებასა და განცხრომას მისცემოდენ.

ლუკას სული შეუგუბდა, თვალებში სისხლი წამოაწვა, თავპირი გაუხურდა; დააპირა კარის გაღება და ოთახში შევარდნა, მაგრამ გაახსენდა მსახიობი ქალი, აფიცერი, ახირებული მემკვიდრეობა, ცოლის მორჩენა რვა თვეზე და შვიდ თვეზე; თვალწინ წარმოუდგა შვიდ თვეზე დაბადებული უმცროსი ვაჟი, რომელიც ასე ძალიან ჰგავდა სეკრეტარს, ლუკა შესდგა, გასწორდა, ხელები ჩამოუშვა, ერთი ამოიოხრა, თავი ჩაქინდრა და გამობრუნდა.



ერმალ ოზ[illegible]როსტომიძე კორძაია

მოხალისე, მოკლული ავსტრიის საზღვარზე ბრძოლაში

# დაბა-სოფლის მოღვაწენი

## ინჟენერი კონსტანტინე იოსების ძე ძნელაძე



**ინჟინერი**
**კონს. იოს. ძნელაძე**
დ. ხაშურის თეატრის ერთი მთავარი დამფუძნებელ-ამაღორძინებელთაგანი.

დ. ხაშური დიდი ხანია საჭიროებდა მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებულ თეატრს. თუმცა ადგილობრივი სცენის მოღვაწენი ქართულ წარმოდგენებს არ აკლებდნენ დაბას, მაგრამ ამას უოველთვის დროებითი ხასიათი ჰქონდა; საჭირო იყო ოფიციალური საზოგადოების შექმნა. ნატვრაც შესრულდა. ამ ორი წლის წინად, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დაბის შეგნებულ პირთა დახმარებით შეიმუშავეს შესაფერი წესდება, წარადგინეს სადაც ჯერ იყო, და მიიღეს თუ არა ნებართვა, დაარსეს **ქართული დრამატიული წრე**. ახლად დაარსებული წრე, რომლის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგადაც კონსტანტინე იოსების-ძე ძნელაძე იყო, თავგამოდებით შეუდგა ნაკისრ მოვალეობის შესრულებას და სულ მოკლე ხანში ხელოვნებასაც თვალსაჩინო წინმსვლელობა დაეტყო: წარმოდგენები სისტემატიურად იმართებოდა, ხალხი თანაგრძნობით ეკიდებოდა. თუმცა ეს ასე იყო, ქართულ დრამ. წრეს მაინც არ ჰქონდა საკუთარი ბინა, სცენა: წარმოდგენები იმართებოდა ხან აქ, ხან იქ, რაიცა დიდად აბრკოლებდა საქმის წინმსვლელობას და სცენის მუშაკთა ნაყოფიერ მოღვაწეობას.

1914 წელს—შემოდგომაზე მოხდა წრის წლიური კრება და ანგარიშები. ძველი გამგეობა გადადგა, აირჩიეს ახალი. ამ ახალ გამგეობაში ერთხმად არჩეულ იქმნა ბ-ნი კონსტანტინე ძნელაძე, რომელიც გამგეობამ თავმჯდომარედ აირჩია. არჩევისათანავე ბ. ძნელაძის ერთადერთი ოცნება იყო ქართულ ხელოვნებისათვის საკუთარი ბინის მოპოება. და აი, ეს სურვილი კიდეც განახორციელა მან. აქ არის ბ. ვასილ ჯაფარაშვილის შენობა, რომელშიაც პროჟექტორი იყო მოთავსებული. ბ—ნ ძნელაძის თაოსნობით გამგეობამ ეს შენობა იქირავა, გადააკეთა თეატრად მოაწყო, მშვენიერი სცენა, შეიძინა საჭირო დეკორაციები და შეუდგა სისტემატიურად ქართულ წარმოდგენების მართვას. დღეს დ ხაშურს აქვს თავისი თეატრი, საზოგადოებას მოეპოვება ადგილი, სადაც შეიძლება მიიღოს გონებრივ-ესთეტიური საზრდო, დასტკბეს ჩვენი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა ნაყოფით. ჩვენს თეატრს—წმიდა ტაძარს არწივსავით თავს დასტრიალებს ინჟენერი ბ. ძნელაძე, დაუღალავად შრომობს მის საკეთილდღეოთ და მხოლოდ იმის ზრუნვაშია, თეატრი გაამშვენიეროს. აქაურ თეატრის აღორძინებაში ბ—ნ ძნელაძის შრომა განუსაზღვრელია, და ამიტომაც ხაშურის საზოგადოების უგულითადესი მადლობაც სამართლიანად ეკუთვნის.

**ნიკო გურული**

# შუაღამისას

ირხევა ქარი, სისინებს ქარი,
ეკლიან ფრთებით მიმოფრიალებს
და როგორც ბოროტ გველის ნესტარი
გულზედა სცურავს, გულზე სრიალებს!..

—

განთიადისას მარტო ვიყავი,
ისევ მარტო ვარ შუაღამისას
და უგრძნობ გულით გულ დანაწვავი
ყურს ვუგდებ ჩქერას თვალთა ნამისას!—
ჩემი იმედის მგზნებარე ცეცხლი,
ჩემი ოცნების ნათელი სახე,
ტყვიაზე ცხელის ცრემლებით დავწვი,
ტყვიაზე მძიმე ცრემლით შევლახე
და გავატანე ქარს მისი მტვერი!..
ის, ჩემს განცდათა ტკბილ სამოთხეებს,
წაიღებს ისე დაუბრუნებლად,
როგორც სიცოცხლის გამოვლილ დღეებს!..
და უმიზნობის ჯვარედინ გზაზე
ჩემს მწვავე კვნესას—კვნესით დამარხავს;—
მეც ვივლი მარტო და თვალი ჩემი
როს ჩემს გრძნობათა სამარეს ნახავს,
დავიცემ მახვილს დასასრულისას
და დავიყუჩებ გულისა ჭირებს,—
ქარი დამმარხავს და შუაღამე
ჩემივე ცრემლით გამომიტირებს!..

—

სისინებს ქარი, სისინებს ქარი
ეკლიან ფრთებით... მიდამოს მგვერი;
გულზედა მჩხვლეტავს გველის ნესტარი,
გულზე მეხვევა ცრემლების გველი!..

**ს. ფაშალიშვილი**

# პ. ი. ჩაიკოვსკი

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 11)

როგორც ვსთქვი, დიდებულმა კომპოზიტორმა, ბოლოს ქართულ საეკლესიო გალობაზე ჩამომიგდო ლაპარაკი და მკითხა ისიც, სამ ხმიანია ძველადვე თუ ამ ბოლო დროს გადაკეთდაო.

ორი საათი მეტი ამაზე ვლაპარაკობდით და რამდენადაც დრო ნებას მაძლევდა განუმარტე და ავუხსენი, თუ როგორი მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენ ეროვნულ სიმღერებს საეკლესიო გალობასთან მეთქი.

აქვე ჩემი კრებულიდან ვუჩვენე „დიამბეგის ქალი" და კიდევ სხვები, რომლებიც მონასტრიდან არიან გამოსულნი და ეკლესიური კილო აქვთ.

საკვირველი იყო როგორი ყურადღებით მიგდებდა ყურს და მართლაც მოჩდომებული იყო ბევრი თუ არა, ცოტა მაინც სცოდნოდა ჩვენ შესახებ.

— მარტო ერთ კილოიანია თქვენი სიმღერა-გალობანი? მკითხა.

— არა, იმერეთში გურული კილოს საგალობელია და ამერეთში ეგრედ წოდებული ქართლ-კახური კილო.

ამაზედაც დიდხანს გვქონდა ბაასი. მკითხა, თუ რა განსხვავებაა და თუ არის განსხვავება—რამდენად დიდი და ცვალებადია? რომელი უფრო მდიდარია, რამდენად დინჯი და სასოებიანია, ან რამდენად მკვირცხლი და ცოცხალია ორივე კილო, რომელი უფრო უძველესია და რამდენად დაახლოვებულია ეროვნულ სიმღერებთან და სხვა.

ერთი სიტყვით განსვენებული კომპოზ. პ ი. ჩაიკოვსკის ცნობის-მოყვარეობას ბოლო არა ჰქონდა და მეც, რამდენადაც შემეძლო, ვუხსნიდი. ამ ტკბილ ბაას-ჭუკჭუკში შეუმჩნევლად გასულიყო დრო, უკვე პირველი საათი იყო და მეხათრებოდა, რომ ამდენი ხანი შევაწუხე, თუმცა მითხრა—როცა ადამიანს რომელიმე საქმე აინტერესებს, ან თავის საყვარელი საგნით გატაცებული ბჭობს თუ სწერს, მაშინ დროზედ აღარ უნდა იფიქროს, მისთვის დრო აღარ არსებობს, მარტო საქმე და საქმეაო.

ბოლოს დიდის ბოდიშით და მოკრძალებით ვთხოვე ერთი კიდევ გაეგონებინა ჩემთვის ჩვენ ეროვნულ ხმებზე აშენებული, თუნდა ვარჯიშობანი და, უკანასკნელად დავსტკბი კიდევ.

გამოთხოვება იყო ჩვენი საკვირველი. პირველ საათიდან სამის ნახევრამდე რამდენჯერმე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ კიდევ რამე კითხვას მომცემდა, ხან მე გაუმეორებდი თხოვნას, რომ ჩვენ ეროვნულ კილოზე რამე დაეწერა და ასეთ ნაირად სასტუმრო დარბაზიდან ვიდრე გამოსავალ კარებამდე საათ ნახევარი ვიარეთ ან უკეთ რომ ვსთქვათ- ვიტრიალეთ.

გამოსავალ კარებში უკანასკნელად ჩამომართო ხელი, მადლობა გადამიხადა, რომ ჩემი ნოტები დაუტოვე. ამასთანავე დამპატიჟა სიმფონიურ კონცერტზე და თავისის ლოტბარობითვე დადგმულ ოპ. „ევგენი ონეგინზე".

რა გულნაკლული ვეთხოვებოდი დიდებულ მაესტროს, მინდოდა სულ მასთან ვყოფილიყავ და მის ლამაზ და მშვიდობიან სახისათვის მეცქირნა. ამისათვის მე საათები კი არა თვეებიც არ მეყოფოდა, მაგრამ მეტი შეწუხება ვეღარ გავბედე და ნასიამოვნები ერთის მხრით იმით რაც კი მოვისმინე, დაღონებული მეორეს მხრით, რომ ასე უცებ და მალე გათავდა სასიამოვნო წუთები, დაუსრულებელის მადლობით წამოვედი სახლისაკენ.

მას შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ, არ მახსოვს, მქონდა შემთხვევა პ. ი. ჩაიკოვსკის ნახვის და როცა მნახავდა, მირჩევდა—ვცდილიყავით ქართველები, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რომ გაგვეცნობებინა ჩვენი ეროვნული მუსიკა ყველა განათლებულ ქვეყნებისათვის, რომ მით დაგვენახვებინა, თუ როგორია ჩვენი მუსიკა და იქნებ მათი დახმარებით, თუ ჩვენ ვერ შევძლებდით, განვითარებულიყო და სასურველ ნიადაგზე დამდგარიყო ჩვენი მართლაც ორიგინალური მუსიკა.

მალე სამუდამოდ დასტოვა ჩვენი დედა-ქალაქი ტბილისი და, როგორც ვიცით, დიდხანს აღარ უცოცხლია დიდებულ კომპოზიტორს პ. ი ჩაიკოვსკის.

ასეთი ხანმოკლე იყო სიცოცხლე იმ ადამიანისა, რომლის მადლიანი და ნაყოფიერი ნიჭი დიდ სარგებლობას მოუტანდა, როგორც თავის ერს ისე ყველას და ჩვენთვისაც იქნება რამე დაეწერა.

რა მოუვიდა იმ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც თან წაიღო, დღემდე არ ვიცი და ვის ხელშია არა სჩანს.

ზ. ი. ჩხიკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარიყამიშის გმირი



კაპიტანი **ტარასი დავითისძე ვაშაკიძე**

ქართველის გმირობამ, გამბედაობამ და სამხედრო უნარმა კიდევ ერთხელ გაიღვიძა დღევანდელ მსოფლიო ომიანობაში მრავალი სახით.

ამის ერთი დამამტკიცებელთაგანია, სხვათა შორის. კაპიტან ტარასი დავითისძე ვაშაკიძის გმირობა, რომელმაც თავი ისახელა სარიყამიშთან ბრძოლის დროს, 22 ქრისტეშობისთვეს 1914 წ.

ამ ბრძოლაში დიდად დამარცხდენ ოსმალნი, ამის მიზეზი იყო ტარასი

ნაშუადღევის სამ საათზე კაპიტანი ვაშაკიძე თავისი რაზმით (როტით) ტყიდან გამოვიდა. ამ დროს ოსმალთა ბატარეასთან შენიშნა სარდლები ჯგუფად. ვაშაკიძემ სწრაფად გასწია წინ და შესძახა:

— დაგვმორჩილდით, თორემ ყველას ამოგწყვეტამთო!“

ოსმალთ სარდლებს ადიუტანტი გამოერჩია, და ვაშაკიძეს მიუგო:

— კმარა, ბატონო აფიცერო, ყოველივე გათავდა. სარდალი გიხოვთ, სისხლი აღარ დაიღვაროს.

ოსმალებმა იარაღი დაჰყარეს და სროლაც შესწყდა. ვაშაკიძემ ტყვედ წამოიყვანა ოსმალო ჯარის მეცხრე კორპუსის მთავარ-სარდალი ისხან-ფაშა, მის ხელქვეითი სარდალნი, შტაბი, ჯარი და აგრეთვე ხელთ ჩაიგდო დიდძალი იარაღ-ზარბაზნები; სარდლებს ხმლები დაუბრუნა და წინ წამოუძღვა. დატყვევების ჟამს ისხან ფაშამ ჰკითხა ვაშაკიძეს:

— განა რამდენი ჯარი გყავთ, რომ გაბედეთ და თავს დაგვესხითო?

ვაშაკიძემ შეუშფოთებლივ მიუგო:

— აგერ, იქით დივიზიაა, აქეთ ერთი პოლკი, აქ ორი ბატალიონი:

ისხან-ფაშამ ხელი ჩაიქნია და სევდიანად ჩაქინდრა თავი, ხოლო როცა სარიყამიშში შეიტყო, რომ ვაშაკიძემ იგი მხოლოდ ერთი როტით დაატყვევა, ბრაზით მაგიდას ხელი დაჰკრა და ზედიზედ წამოიძახა:

— შეითან-კაპიტან, შეითან-კაპიტან! (ეშმაკი კაპიტანიო) (რუსულიდან)

# აკაკის ნაკვესები

აბასთუმნის სასტუმროში ანგარიში წარუდგინეს აკაკის: ზედ-მეტი მიეწერათ და პოეტმაც, როცა გასინჯა, სთქვა: ახლა კი მივხვდი რათ ეძახიან ამ ადგილს აბასთუმანსაო: თურმე აბაზში თუმანს ახდევინებენო!..

— —

ერთმა ახალგაზდა ნაცნობმა უთხრა აკაკის: დღეს პირველად გამოვდივარ საადვოკატოდ, ჩემი კლიენტი საჭურისია და ქურდობას სწამებენო. გაკეთებულა შენი საქმეო — მიუგო პოეტმა — კანონი სჯის მხოლოდ სქესს, ან მამრობითი უნდა იყოს და ან მდედრობითი და რადგანაც შენი საჭურისი არც ერთს სქესს არ ეკუთვნის, ველარც გაასამართლებენო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსახიობქალი

**ნ. გამრეკელ—თორელი**

პატარა კახის როლში. სამსახიობო მოღვაწეობა დაიწყო 1906 წ. ბაქოში და ადგილობრივი ქართული სცენის აღორძინებას დიდათ შეუწყო ხელი.

# ხალხის გული

—

ხალხის გულია ჩემი ტრაპეზი,
ჩემი სამგოსნო წმიდა ტაძარი;
იქ სიყვარული სუფევს ღვთიური,
ღვთაებრივობაც მხოლოდ იქ არი.

ეს არს სამსხვერპლო და სამლოცველო,
აქა ჟღერს ჩემი მკვნესარე ქნარი,
და გული ჩემი, გული უმანკო,
იწვის და იწვის ვით კელაპტარი.

# ატმის ყვავილები

რტოებში სცურავს და ავობს ქარი,
ყვავილთა ქარი ფიქრში ბანაობს.
ღელავს, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და ძიქანაობს.

ჩამოუქროლა ატმის ყვავილებს,
ვარდ-სფერ ლილებს დაუწყო ბრძოლა;
ფრთაააყოლა ვარდისფერ ლილებს,
ჩასწვდა ბილილებს და აათრთოლა.

ატმის ხე იდგა თაიგულივით,
შუქთა ლივლვით უთრთოდა სული.
შორით მოსული ელვარე სხივით
და ნამთა მძივით გარემოცული.

ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში:
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი
და გრძნობათ ალი სიმწუხარეში.

ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფიზბის სურვილი.

მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.

როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი
შემდეგ აშლილი და აფრენილი —
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი. . .

ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი
ყვავილი იგი მოჰკვდა და ჩქარა
წითლად დაჰფარა ბაღის ბილიკი.

ბაღის ბილიკზე მივდივარ და თან
გაძარცვნილ ატამთან სევდა გროვდება.
საღამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.

მე აღარ ვცარდობ... რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი
მეფობს სიკვდილი — ჰკნობის მსურველი!
გაჰქრა სურნელი, დასჭკნა ყვავილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოფურჩხულია*)

ერთმოქმედბეიანი ვოდევილი (აზრი ვისესხე)

**მომქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| **ონოფრე ბრეგვაძე** | **სიკოია** } ამათი |
| **მატრონა,** ცოლი ამისი | **კატარინა** } მსახურნი |

სასტუმრო ოთახი ბრეგვაძისას. სამი კარი, ორი ფანჯარა, ბრეგვაძე აღელვებული მიდი-მოდის. სიკოია შუაკარებთან დგას. მცირე პასუხის შემდეგ კატარინას შლიაპის ყუთები და სხვა რამ ხარა-ხურა მარცხნივ კარებიდან გამოაქვს და შუა კარებით გააქვს. ორჯერ-სამჯერ დაბრუნდება კატარინა და ამ რიგად გააქვს ქალბატონის ბარგი-ბარხანა.

**ბრეგვაძე.** როდის უნდა გათავდეს, ბიჭო, თუ იცი?!.

**სიკოია.** ეჰ მუუ! ჯერ სადაა, ბატონო. ძაან ხო გოუძელით, ბატონო, აქამდი. რა ჩემი საქმეა, უკაცრავათ პასუხია, მარა ამფერ თქვენს მოთმინებას.

**ბრეგ.** ერთი წელიწადია, გესმის, ერთი წელიწადი. გასკდა გული, გაწყდა მოთმინების ძაფი...

**სიკ.** რა ბძანებაა... ძაფი კი არა პორომის ბაწარიც ვერ გაძლებდა...

**ბრეგ,** და ძლივს, მადლობა უფალს, მგონი მეშველოს.

**სიკ.** იმე რა, ცხადია, რაკი საშველი არაფერი დაადგა შენს მტერსა და ორგულს, ისევე.. რაფერ შეიძლება ერთ გალიაში ჩხიკვი და გუგული მოაბუდო!

**ბრეგ.** ოღონდაც .. შენც ხო მოწმე ხარ?

**სიკ.** კი ბატონო, რავა არა. თვით გვირგვინი რომ ისკვენით, იმ დღიდან.

**ბრეგ.** იმ დღიდან ამ ცეცხლში ვარ. რა უნდა, რა ეპრიანება—ყველაფერი მზათა აქვს, და მაინც კიდევ ანჩხლობს, კაპასობს.

**სიკ.** უკაცრავათ პასუხია, ბატონო და, გამოვა ადამიანი მისთანა ჯილაგის, ვერაფრით მის გულს ვერ მოიგებ.

**ბრეგ.** რა არა ვსცადე—სულ უარესი და უარესი;

**სიკ.** კი ბატონო, აპა. დეიბადება ადამიანი მისთანა მთვარეზე. (კატარინას, რომელსაც გამოაქვს შლიაპის ყუთები) აღარ გათავდა, ბოშო, მა კოლოფები?

**კატარინა** (გზა-გზა) გეიწი იქით! ვინ გამოგიწვია, რო კითხულობ! ვისი ტიკი-ტომარა ხარ! (ხელს კრავს და მიდის)

**სიკ.** მე შენ გატიკი-ტომარებ დღეს... რას ჯიკაობ, რო ჯიკაობ. გონია, შენი ქალბატონიანად გუნებაზე ვერ მყავხართ, რომ ამოგიძუეთ დღეს აქიდან!

**ბრეგ.** თავი დაანებე... ერთგული მოახლეა თავის ქალბატონისა.

**სიკ.** ჰმ, ერთგული ქვია!—თან მიყობა!

**ბრეგ.** წაყვეს.. წინ წყალი... აქ რა ოხრათ მინდა...

**სიკ.** წაყვეს რა... არც მე მინდა.

**ბრეგ.** არა, შენ კი, მგონია, პირს არ დაგწვავდა... მარა, სიკოია, თვალი არ დაგიდგეს, ცოლის თხოვა არ იფიქრო.

**სიკ.** რავა ღმერთი გამიწყრება, ამ მაგალითს რო ვუყურებ...

**ბრეგ.** ოო, სიკოია, რა ბედნიერი ხარ, რომ ცოლი არ გყავს.

**სიკ.** ვითამ?

**ბრეგ.** ინგლისელებს ერთი დიდი მწერალი ჰყავდათ, რომელმაც სთქვა:—არარაობა, აი, სახელი დიაცისაო!

**სიკ.** თქვენი არ იყოს, ისიც ძალიან გულდაწყვეტილი ყოფილა ქალებზე... მარა, ბატონო, თქვენი საქმე ახლა ვითამ საბოლოოთაა გადაწყვეტილი? ვაი, თუ ისევე...

**ბრეგ.** ვითამ კიდევ შევურიგდე?—ბასტა! თავის დღეში...

**სიკ** იმე, რაც გასკდა მეც ქე ვუყურებ, მარა ეგებო, ვინ იცის...

**ბრეგ.** თავის დღეში-მეთქი! გადაწყვეტილია!

**მატრონა** (შემოდის სამგზავროდ გამოწყობილი) გადაწყვეტილია, დიახ, აი, მეც მზათა ვარ .. აქ რაღაცები მრჩება, ახლავ დროგსა და მუშას გამოვგზავნი .. მშვიდობით!

**ბრეგ.** მშვიდობით!

---

*) „მოფურჩხულიას"—იმერეთში ეტყვიან მიწიდან ან წყლიდან ანაყოლს. თუ დაუფენელად იწვა მიწაზე ან ღელეში, წყალში იმუშავა და შემდეგ უქეიფოდ გახდა—მოფურჩხული აქვსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მატ.** მე სულ მივდივარ, გესმით, სამუდამოთ!

**ბრეგ.** მშვიდობით!

**მატ.** ვერაოდეს ველარ მიხილავთ, ვერაოდეს! .

**ბრეგ.** მშვიდობით!

**მატ.** არ იფიქროთ წერილების მოწერა, მე თქვენ წერილებს ანთებულს ბუხარში ჩავწვავ... დავხრაკავ!

**ბრეგ.** თუ ზაფხული იქნა?

**მატ.** უუ, რა გესლით სავსე ხართ. საზიზღ... (მიდის)

**ბრეგ.** (სიმღერით) რაც შენ გაგშორდი —გავხდი კარგათა, არ ვიცი რისგან, არ ვიცი რათა...

**მატ.** (მოტრიალდება) როგორ! იმღერით, კიდევაც ასეთ მდგომარეობაში?

**ბრეგ.** (ფანჯარასთან) ეტლი სდგას!

**მატ** ეგ თქვენი საქმე არაა! ფულს მე ვაძლევ, საკუთარი მზითევიდან, რაც თქვენ, ღვთის წყალობით, სულ არ გაგიფლანგავთ... (ბრეგვაძე შეტრიალდება და შეაშტერდება) ჰო! რაო? განა მზითევისთვის არ შემირთეთ?ოო. რათ, რათ გამოგყევით მე თქვენ!?

**ბრეგ.** არ ვიცი. .

**მატ.** რამდენი მსხვერპლი შევსწირე და ვისთვის...

**ბრეგ.** მსხვერპლი, ანუ ზვარაკი.

**მატ.** შემეძლო პოლკოვნიკის ცოლი გავმხდარიყავი, ოკრუჟნი სუდის ჩლენიც მეარშიყებოდა. . ახლა ის პოლკოვნიკი, ვინ იცის, ღენერალია, და ის ჩლენი—პრედსედატელი... თქვენ კი სუდიის სეკრეტარი, ვიღაც ტიტულიარნი სოვეტნიკი **ბრეგვაძე**

**ბრეგ.** მატრონა **ფხაკაძის** ასულო—ეტლი სდგას!..

**მატ.** არ გაბედოთ ეტლის ხსენება. სდგას და იდგეს! ფხაკაძის ასულო! გვარის წამოკარით ვითამ ხელი! თქვენ კი ბაგრატოვანი მყავხართ... (ბრეგვაძე ყურებში თითს იცობს) ნუ იცობთ ყურებს, როცა მე გელაპარაკები... მხეცო, მტარვალო!..

**ბრეგ.** ეტლი სდგას!

**მატ.** უუ, თქვე, თქვე... თფუ! (მიდის)

**ბრეგ.** ოოო, ძლივს!

**მატ.** (მოტრიალდება) რაო, რაო, ძალიან გაგიხარდათ, აი, მე ვარ და აღარ მივდივარ! არ გაღირსებ ამ სიამოვნებას .. ვრჩები!

**ბრეგ.** რაო!?

**მატ.** კატარინა!

**კატარინა.** რას მიბრძანებთ?

**მატ.** შემოიტანე უკან ყველაფერი... აღარ მივდივართ!

**კატარ.** თქვენი ნებაა, ქალბატონო, ახლავე. (მიდის)

**ბრეგ.** არა, მართლა რჩებით?!

**მატ** ვრჩებით!

**ბრეგ.** რჩებით?

**მატ.** ვრჩებით!

**ბრეგ.** რჩებით —დარჩით— მე მივდივარ..

**მატ.** წინ წყალი ..(მიდის თავის ოთახში)

**ბრეგ.** აბა, თუ ვერ წავალ! (მიდის თავის ოთახში)

**კატარ.** (შემოაქვს ბარგი, სიკოიას, რომელიც კარებში შეეფეთება) გზა, ვრჩებით!

**სიკ.** რავა რჩებით?

**კატარ.** რავა და ისე აღარ მივდივართ! (გადის და კიდევ შემოაქვს)

**სიკ.** რავა ციბაძის მოზვერივით დაფუნდრუკობ შე ოჯახქცეტიანო. გამაგებიე, რა ამბავია?!

**კატარ.** ის ამბავია, რომ მე და ქალბატონი ვრჩებით და თქვენ პრაშაი აქედან.

**სიკ.** გოგო, კონჩინას ხომ არ გვეთამაშებით .. რომელი სტატიის ძალითაა ახლა ეს...

**ბრ გ.** (ოთახიდან) სიკოია!

**სიკ.** ბატონო! (მიდის)

**კატარ.** სტატიას მაგ შენი სეკრეტარი გეტყვის ..

**მატ.** (შემოდის) ხო ყველაფერი შემოიტანე?

**კატარ.** ყველაფერი, ქალბატონო. ეტლი გავისტუმროთ?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლოს გარეშე

(სურათი)

I

სუსხიანი დილა იყო. ცა მოქუშულ-მოშავბნელებულიყო და მხოლოდ მკაცრი ჩრდილოეთის მოსისხინე ქარი არღვევდა იმ სამარისებურ მყუდროებას, რომელიც ირგვლივ გამეფებულიყო.

— ნამდვილი სამარეა აქაურობა, ჩვენში ეხლა გაზაფხულია, ყველაფერი ყვავის და აქ კი გულის ზამთარი თითქოს ეხლა იწყება, მზეს დავნატრულდი, მზეს!—ჩაილაპარაკა დაჭრილმა ჯარის კაცმა ილიკო ქვრივიშვილმა და ლაზარეთის სარკმლიდან ქალაქს გადახედა, რომელიც ბურუსში იყო გახვეული.

— დედა, დედა, წყალი, წყალი!—წარმოსთქვა ამ დროს სიცხისგან წამოწითლებულმა მძიმედ დაჭრილ-დაავადმყოფებულმა თედო გიშერაშვილმა და თვალი გადაავლო ავადმყოფებით სავსე ლაზარეთს.

— ბიჭო, თედო, როგორა ხარ? აქ რა უნდა დედაშენს?!—გამოელაპარაკა ილიკო თედოს, რომელიც იმის გვერდით იყო მოთავსებული და წყლით სავსე ჭიქა მიაწოდა.

— ეჰ, ილიკო, შენა ხარ?—წარმოსთქვა თედომ და ხარბად გამოსცალა წყლით სავსე ჭიქა,—სულ გადამავიწყდა, რომ ლაზარეთში ვწევარ, უცხო გადმოლეულ მხარეს! დაიწყო კვლავ თედომ როცა გამოერკვა.—ისეთ ტკბილ სიზმრებში ვიყავ, არც კი მინდოდა გამოღვიძება, სულ კანთიელად წარმომიდგა თვალწინ ჩვენი საქართველო, ჩვენი პატარა სოფელი ბაღ-ვენახებით გარშემორტყმული, ამწვანებულ-აყვავებული მთაველები, თვალის წარმტაცი ქალები, სადაც ღამის ხარი დამიდიოდა ხოლმე, ჩვენი კერა, მშობლები, და-ძმები! საწყალი მოხუცებული მამაჩემი ვითამ ძალზე მოხუცებულიყო და მუშაობისაგან დაკოჟრებული ხელები უბეში ჩაეყო, მიმქრალ კერას მისჩერებოდა, დედაჩემი ხომ მუშტის ოდენად დაღეულიყო, წითელ კვერცხებს ღებავდა, სახეზე რაღაც ნაღვლიანობა ეტყობოდა. გარს ჩემი პატარა და-ძმანი შემოხვევოდნენ და ეტიტინებოდენ:

— დედა, თედოს ალ უნდა გაუგზავნოთ წითელი კვერცხები, ზეგ ხომ აღდგომაა, ცემი წილი კვერცხებიც იმას გაუგზავნე.

— ჰო, შვილო, გაუგზავნი, ყველაფერს გაუგზავნი!—უთხრა პატარებს დედა ჩემმა და თვალთაგან ცრემლები წამოსცვივდა.

— აი, ამ სიზმრებში ვიყავ, ჩემო ილიკო, რომ უცებ გამეღვიძა და გაჰქრა ყველაფერი! დავიჯერო კიდევ ვნახო ჩემი კერა, ჩვენი კოპწია საქართველო?!—აქ თედოს გული ამოუჯდა, თვალები ცრემლით აევსო და სიყმაწვილით განვლილი დრო ელვის სისწრაფით გადაეშალა წინ. მოაგონდა თავის გულის სწორი თინიკოც, რომელსაც პირველად შეხვდა დღეობაში პირისპირ სალაპარაკოდ, ერთმანეთს გადუშალეს მოსიყვარულე გული და პირობა დასდეს, რომ სიკვდილის მეტი მათ ვერაფერი გაჰყრიდა.—ჯვრის წერა მაინც დაგვცლოდა, განა კიდევ აქვს ჩემი სიყვარული!—ფიქრობდა თედო და თავის თავსთვისვე აძლევდა პასუხს: არა, ის არ მიღალატებს, აი მისი წერილი: „სულზე უტკბესო, ჩემო თედო!“—ამოიკითხა პირველი ჰწკარი და ისევ სასთუმალს ქვეშ შესდო.

— თედო, ეს სიწერილია, ახალია?—დაეკითხა ილიკო.

— ძველი წერილია, სახლიდან მონაწერი, ისე დავხედე, მესიამოვნება!—მიუგო თედომ და ცრემლები მოიწმინდა.

— აი, შე ლაჩარო, გული რათ გაგტეხია! ყველაფერი გაივლის, ისევა ვნახავთ ჩვენს სამშობლოს, შეც დავტოვე ცოლ-შვილი, მოხუცებული მშობლები და ნაცნობები, მაგრამ გულს კი არ ვიტეხ!—ანუგეშა ილიკომ თედო და თვალებში მიაშტერდა.

— არა, ილიკო, ეს ოხერი გული სულ სხვას მეუბნება, რამდენსაც ვფიქრდები! თანდათან მიორკეცდება სამშობლოს სიყვარული, მწყურიან მისი ნახვა და, ვაი, თუ ისე მოვკვდე, რომ ვერ ველირსო! ვისაც უცხო მხარეს უთვისტომოდ ყოფნა არ გამოუცდია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ვერ დააფასებს თავის მიწა წყალს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი „ჩიტი სადაც გაიზრდება, იმის ბაღდადი ის არისო!“ მეც ყველაზე ერთი მეგონა, მაგრამ შევმცდარვარ. აი, ეხლაც შენ მაძლევინებ, რადგან ერთი მიწა-წყლის შვილნი ვართ, ერთი სისხლ-ხორცი, თორემ აქამდის არ ვიცი რა დამემართებოდა, შენ რომ მშობლიურ ენაზე მელაპარაკები, მალამოდ ხვდება ჩემ დაკოდილ გულს!.. ცას დავეწი პირველად რომ გაგიცანი და ქართულად გამომელაპარაკე, ჩემი თავი საქართველოში მეგონა!..—დაათავა თედომ სიტყვა და სიცხისაგან წამოწითლებული თვალები კვლავ მილულა.

II

აღდგომის შაბათი იყო და ამისათვის ლაზარეთს სულ სხვა ელფერი მიეცა. ავადმყოფებს ჩვეულებრივზე უფრო ყურადღება მიაქციეს, დაასუფთავეს იქაობა, ექიმებმაც ყურადღებით დასინჯეს ავადმყოფები. ჯერი თედო გიშერაშვილზე მიდგა. როდესაც ექიმმა სიცხე გაუსინჯა და დარწმუნდა, რომ თედოს სიცოცხლე ბეწვზე-ღა ეკიდა, მოწყალების დას წასჩურჩულა ყურადღებით ყოფილიყო...

შუაღამე გადავიდა, გარედან ხალხის სიცილ-ხარხარი მოისმოდა, რომელიც ეკლესიისაკენ მიეშურებოდა. ილიკოსაც ელვიძა და ფიქრებში იყო გართული. ხოლო ძალზე მისუსტებული თედო ბორგავდა, არეულ-დარეულად რაღაცებსაც ბოდავდა.

— ეხ, ვინ იცის ამის პატრონები რას ფიქრობენ!. —შე ოხერო წუთი-სოფელო, „სადაურსა სად წაიყვან, სად გაუთხრი სამარესა“!..—წაილაპარაკა ილიკომ, როდესაც მომაკვდავ თედოს გადახედა.

— თინა, თინა, შენა ხარ?!—დაიწყო კვლავ თედომ—რად დამივიწყე, ეგ იყო შენი პირობა, მე, მე, სისხლის მსმელი ვარ?! არა, არა, ჩემი ბრალი არ არის, აი მესვრიან!..

— თედო, თედო, დამშვიდდი, განა არა მცნობ?!.—ამშვიდებდა ილიკო თედოს, ხოლო მოწყალების და უსიტყვოდ დასცქეროდა და ვერ გაეგო მისთვის გაუგებარი ლაპარაკი.

— არა, აგერ დედა-ჩემი, ჩემი მამა, საწყალი მოხუცი, ჩვენი სოფელი! მეძახიან უნდა წავიდე. ლიტანიას უვლიან, აიგერ, აიგერ! ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!..—აქ თედომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ზეზე წამოდგა და სარკმლისაკენ გაექანა, რომელიც ქუჩის მხარეს იყო, მაგრამ ილიკომ შეაჩერა და ისევ საწოლთან მიიყვანა.

— თედო, თედო, შენ ილიკოს არა მცნობ, აბა ცოტა წყალი დალიე, აგერ საცაა გათენდება, ხვალ ხომ აღდგომაა!..

თედომ ცოტა წყალი მოსვა. ის თითქოს გამოერკვა, დაუბრუნდა ისევ მეხსიერება და ცნობის-მოყვარეობით კვლავ ილიკოს დააშტერდა.

— თედო ხომ კარგადა ხარ? აბა შამხედე!—ჩაეკითხა კვლავ ილიკო და შუბლზე ხელი მოუსვა.

— კარგად, ჩემო ილიკო, კარგად! ეხლა აღარაფერი მიჭირს, მხოლოდ თვალწინ ათასნაირი მოჩვენება მელანდება, ბრძოლის ველი, დაჭრილ-დახოცილები, კვნესა-გოდება, ზარბაზნის გრიალი და სამშობლოს ამბები ერთმანეთში ირევა!—მიუგო თედომ და თავი ჩაჰკიდა.

— ნაუუ, ნაუუ, ნაუუ, ნაუუ,.—გაისმა ძლიერად ზარების რეკა და ზარბაზნის ხმა, რომლითაც ამცნობდნენ მორწმუნეთ დიდებულ ქრისტეს აღდგომას.

— ქრისტე აღდგა, თედო!—ზარის წკრიალთან ერთად წარმოსთქვა ილიკომ და მომაკვდავ თედოს გადაეხვია.

— ჭეშმარ...!—დაიწყო თედომაც მისუსტებული ხმით, მაგრამ სიტყვა ვერ დაათავა და სიცხისაგან გახურებული ტუჩები ილიკოს ტუჩებს შეაწება..

პ. დვანელი

# კიდევ ერთი მიზეზი

თუ ჩვენი მსახიობის მდგომარეობა, როგორც თავისუფალი ხელოვანისა და მხატვრისა ტრაგიკულია, არა ნაკლებ აუტანელია მისი მდგომარეობა, როგორც პროფესიონალის, მშრომელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი ხელობა ჩვენში არ არის ისე აბუჩად აგდებული, როგორც სახიობა: არც ერთი ხელოსანი არ არის ასე ცუდათ უზრუნველყოფილი, თავისი ყოველდღიური შრომით, როგორც ჩვენი მსახიობი. ყველა მშრომელი, რომელიც თავის ძალ-ღონეს ჰყიდის, ცდილობს ისეთ ადგილას დაბინავდეს, რომ შესძლოს ცოტად თუ ბევრად უზრუნველჰყოს თავისი თავი და ოჯახი მუდმივი ბინით და საზრდოთი. და, მართლაც ყოველი ხელოსანი, რომელიც სამუშაოს შოულობს, რამდენიმე წლით მაინც უზრუნველყოფილია, რომ ბინიდან აყრა და გადასახლება არ დასჭირდება, არ მოუხდება ოჯახის და ცოლშვილის აფორიაქება, რაიც დიდ ზიანს აყენებს მას როგორც მატერიალურად, აგრეთვე ზნეობრივადაც

რა გინდ დიდი ჯამაგირი ჰქონდეს ადამიანს, მაინც ასეთი ხშირი აფორიაქება ოჯახისა არაქათს უწყვეტს და მის შრომას ნაყოფიერობას უკარგავს.

ხელმოკლე ადამიანისათვის ხშირი აყრა პირდაპირ სატანჯველია, ჯოჯოხეთი.

ამიტომ ყველა ჯდილობს სამუშაო და ბინა განიმტკიცოს.

ჩვენი მსახიობისათვის კი თითქო არ არსებობს ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნილება ოჯახის ყოლისა და თავისი ცხოვრების უზრუნველყოფისა; თითქო მისთვის სულ ერთია სად ექნება ბინა — ცის ქვეშ, თუ დახურულში. ხან აქ არის, ხან იქ არის, ხან შია, ხან მაძღარია, ხან ქეიფობს, ხანა სტირის.

როდესაც ის მიდის რომელიმე დაბა ქალაქში სამუშაოდ, ისე დაიარება, თითქო ასაფრენად გამზადებული ქორია და ხელის აქნევას უცდისო. ყველაფერი ნანათხოვარი აქვს და ნანათხოვრადაც მუშაობს. და მართლაც, რომელი ჭკუათა მყოფელი გასწევს ხარჯსა და შრომას დასაბინავებლად, ოჯახის მოსაწყობად იმისთვის, რომ ოთხი-ხუთი თვის შემდეგ კვლავ აიყაროს, ჩვენი ქვეყნის მეორე მხარეს გადაფრინდეს და ხელახლა შეუდგეს დაბინავებას!

ასეთ ყოფა-ცხოვრებას შეიძლება როგორმე გაუძლოს მარტოხელა ადამიანმა, რომელსაც თავის თავის მეტი არა აწუხებს რა; მაგრამ ვისაც ოჯახი აქვს, ჰყავს შესანახი ან ცოლშვილი ან დედმამა და სხვა, იმისთვის ასეთი წანწალი პირდაპირ აუტანელი უნდა იყოს.

ასეთ პირობებში ადამიანი სრულიად მოკლებულია ნაყოფიერი მეცადინეობის საშუალებას, სისტემატიური მუშაობა თავის განვითარებისა და მომზადებისათვის ყოვლად შეუძლებელია. იძულებულია ვაი ვაგლახით აჩანჩალოს საქმე, რომ ულუკმაპუროდ არ დარჩეს.

არც ერთს ჩვენს მსახიობს არ შეუძლია სთქვას: სამს წელიწადს ამა და ამ თეატრში უნდა ვიმუშაო.

ამან არ იცის, თუ შემოდგომაზე სად ამოჰყოფს თავს, ვინ მიიწვევს სამუშაოდ მიიწვევენ და გაზაფხულზე, სეზონის გათავების შემდეგ, უკვე აღარ იცის საით წავიდეს და რომელ წყალს მისცეს თავი.

ის ყოველთვის დამპალ ბაწარზე ჰკიდია. თუ ღმერთი გაწყრა და ბაწარი გაწყდა, მსახიობიც წყალს ეძლევა. ამისი შიში მუდამ სულს უხუთავს ჩვენი სცენის მუშაკს.

დღიური მუშა უკეთეს პირობებშია მასთან შედარებით: თუ სამუშაო არ დაიხურა, ან თვით არ დაანება თავი სამუშაოს, დღიურ მომუშავეს იმედი აქვს, რომ გზა შირაზე არ დარჩება. მსახიობს კი სამუშაოს იმედი მხოლოდ სეზონის განმავლობაში აქვს. გათავდა სეზონი და ისიც გაფაციცებით დაეძებს სამუშაოს; თუ იშოვა, უნდა აიყაროს, გადასახლდეს სხვაგან, თუ ვერა და უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებაში ვარდება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენში წელიწადი სამ სეზონად არის გაყოფილი — ზამთრის, გაზაფხულის და ზაფხულის, -- მაშინ დამეთანხმებით, რომ ჩვენი მსახიობნი მართლაც იშვიათ ცუდ პირობებში მუშაობენ. ასეთ ყოფაში განა შეიძლება რამე თვალსაჩინო გააკეთოს ადამიანმა ხელოვნებაში? რა სულიერი და ფიზიკური ძალა უნდა შერჩეს ადამიანს? ან ვის ეყოფა მოთმინება აიტანოს ყველა ეს და რის გულისათვის უნდა გაიჭიროვოს ასე ულევოთ კაცმა საქმე, თუ მისი წელდახრილი ყოველდღიური მუშაობა მის ლუკმა პურსაც არ უზრუნველ ჰყოფს? რადა გასაკვირველია, რომ რაც გინდა დიდი სიყვარული ჰქონდეს საქმისა, ასეთმა ცხოვრებამ მაზე გუაგაყრევინოს?

აი ერთი მიზეზი ჩვენი მსახიობების გულგატეხილობისა.

თუ როგორ უნდა შემოუაროთ ამ გარემოებას, ამაზე შემდეგ.

**ის. ვარაზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სახიობა

**ბალაჯარაში** წინადაც იმართებოდა ქართული წარმოდგენები, მაგრამ დღემდე მას სისტემატიური ხასიათი არა ჰქონდა. წარმოდგენების მოთხოვნილება კი დიდი იყო, რადგან აქ, რკინის გზაზე, ბლომად არიან ქართველი მოსამსახურენი, სხვა და სხვა საქმის მიმდევარნი და მუშებიც, განსაკუთრებით ახლო-მახლო ნავთის საწარმოო ქარხნებიდან. ამ ბოლო ხანებში აქაც შესდგა ადგილობრივი ჯგუფი სცენის მოყვარეთა, რომელნიც ცდილობენ სასცენო საქმეს მკვიდრი საფუძველი ჩაუყარონ. ამისათვის მათ კავშირი დაიჭირეს ბაქოს დრამატიულ წრესთან, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს პიესებით თუ მორთულობა-ტანთსაცმელის თხოვებით და აგრედვე ერთ-ერთი თავის სცენის მოყვარის დახმარებით, რომელიც იმავ დროს რეჟისორობას გაუწევს ადგილობრივ სცენის მოყვარეთ.

ამ გვარათ პირველი წარმოდგენა კიდეც გაიმართა 20 თებერვალს. ბაქოდან სარეჟისოროთ გამოგზავნილი იყო დამსახურებული სცენის მოყვარე ბ გრ. პავლიაშვილი, წარმოადგინეს ტრ. რამიშვილის ახალი პიესა „დედინაცვალი“. რეჟისორისა და სც. მოყვარეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პიესამ ჩინებულად ჩაიარა. სცენა რიგზე იყო მორთული, მიხანს ცენები სათანადო, როლებიც ყველამ ზედმიწევნით იცოდა, ასე რომ წარმოდგენამ ჩინებული შთაბეჭდილება დასტოვა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა.

ხალხი ამ წარმოდგენას საკმაოთ დაესწრო და, თუ ასეთი მწყობრი წარმოდგენები გაიმართება, შემდეგშიაც კიდევ უფრო მეტი ხალხი დაესწრება.

იმედია, ადგილობრივ სც. მოყვ. ჯგუფი და ბაქოელი დრ. წრეც კვლავ ასეთივე სიყვირულით მოეპყრობიან ამ კარგ საქმეს.— **სკამი № 5**

**დ. ზუგდიდში** რამოდენიმე კაცის მეთაურობით შესდგა დრამატიული წრე ქართული წარმოდგენების სამართავად. ასეთი წრის დაარსება დიდი ხანია საჭირო იყო და დიდს სამსახურსაც გაუწევს საზოგადოებას, თუ თავის მოვალეობას ღირსეულად აასრულებს.

მტკიცედ გვწამს, ის პირნი, რომელთაც უკისრიათ ეს საპასუხისმგებლო საქმე, თავიანთ დანიშნულებას არ უმტყუნებენ და მკვიდრ ნიადაგს მოუპოვებენ ადგილობრივ ქართულ სცენას. ვუსურვებთ მხნეობასა და გამარჯვებას.

**ძიკი გეგეჭკორი**

# წვრილი ამბები

**ქუთაისის თეატრის** სადღესასწაულო რეპერტუარი, ორშაბათს, 23 მარტს „ჰამლეტი“ ოთხშაბათს, 25 მარტს, პირველად ახალი პიესა ჰაუპტმანისა „დაძირული ზარი“, ხუთშაბათს, 26 მარტს „ყაჩაღები“. დასი: ქ. ქ. გორდელი ქ. მდივანი მარო, ქილარჯიშვილი მარ., ჯავახიშვილი ბ. ბ. არადელი-იშხნელი. გ , გვარაძე ნ., გუგუშვილი ალ. ზარდალივილი ი., მგალობლიშვილი ალ , მურუსიძე ა ნ., სარელი ვლ., ურუშაძე ვას., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხეიძე დ., ჩხიკვაძე ვარ., ჯაფარიძე მ. ყველა გამოცხადებულ წარმოდგენებზე ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასი ამზადებს სობოლჩიკოვ-სამარინის ახალ პიესას იუდას მემკვიდრე“

**ჩვენი კომპოზიტორი და მუსიკის ისტორიის მკვლევარი დ. ე. არაყიშვილი** ამ ჟამად ნივთიერად შევიწროვებულია და ჯანითაც მოქანცრლი აუარებელ წვრილმან გაკვეთილების გამო, რისთვისაც დრო აღარა აქვს სამუსიკო მუშაობისთვის. ამავე მიზეზით ვერ ჩამოვიდა თბილისს საკუთარი ოპერის დასადგმელად. აგრედვე შევიტყვეთ, რომ თავისს ოპერას „თქმულება შოთა რუსთველზე“ რუსული სცენისათვის ათარგმნინებს, რადგან ქართულ სცენაზე დასადგმელად შეძლება და ხელშემწყობი პირობები ვერ მოიპოვა.

**თბილ ქართ. მსახიობთა ამხ-ბის დასის** სარეპერტუარო კომისიამ უკვე შეიმუშავა თავისი რეპერტუარი. გადაწყვეტილია წარმოადგინონ: „მედეა“, „სიყვარული და ვერაგობა“ შილერისა, „კაი გრაკხი“ მონტისა, „ნორა“ იბსენისა, „ივანობის ღამე“ ზუდერმანისა, „დარღვეული კერა“ გუნიას გადმოკეთებულ , „უპატიოსნონი არ იბადებიან“ როვეტისა, „ჯამბაზები“ შენტანისა, „განწირულნი“, ახალი ორიგინალური პიესა შოთა დადიანის, „ბოროტი“ სუმბათაშვილისა, საბავშვო წარმოდგენა. წარმოსადგენად განძრახულია პშიბიშევსკის „თოვლი“ც.

მთელი რეპერტუარის პიესების როლები ადრევე განაწილებულია. ეს პირველი მაგალითია როლების ადრევე განაწილებისა.

**სახალხო სახლში** ხვალ წარმოდგენილი იქნება „პირიმზე“ და „ქრისტინე“.

**დრამატურგი ტრ. რამიშვილი** შეუდგა ახალი პიესის წერვას, პიესაში უმთავრესად მასსა და ინტელიგენცია იქნება დახასიათებული.

**ქართული კონცერტი** სახალხო სახლში გ. სვანიძის ლოტბარობით გაიმართება ხუთშაბათს დილით, 26 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა** მ. ქორელის რეჟისორობით სახალხო სახლში ოთხშაბათს, 25 მარტს წარმოადგენს „ღამე“-ს და „ფული და ხარისხი“-ს,

**ქუთაისის ქართ. მსახიობთა ამხანაგობამ** საგასტროლოდ გაიწვია მსახიობი იუზა ზარდალიშვილი ორ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად (23 მარტს „ჰამლეტში“—ჰამლეტი და 25 მარტს „ყაჩაღებში—“ფრანც მოორი)

**ბაქოს დრამ. წრემ** გადასწყვიტა 1-ელ მაისამდე გამართოს კიდევ რამდენიმე წარმოდგენა. რეპერტუარი: „გაკოტრება“, ბიერნსონისა და „ტაიფუნი“ ლენგიელისა. იმავე ხანებში გაიმართება ორი საგასტროლო წარმოდგენა ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით.

**ბაქოში განუზრახავთ** აკაკის საღამოს მოწყობა.

**შალვა დადიანის ბენეფისი** ბაქოში გაიმართება 12 აპრილს.

**ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტერში** ადგილობრივ სკოლის მოწაფეთა და ხალხის თანადასწრებით 7 მარტს გადახდილ იქმნა საორმოცო წირვა-პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად. ამასთანავე კრებულმა დაადგინა, მთელი წლის განმავლობაში ყოველ დღე სწიროს მგოსნის სულის მოსახსენებლად.

**ჩვენის თანამშრომლის გ. საყვარელიძის** თხოვნით ვამოწმებთ, რომ ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი წერილი „კრიტიკა თუ გაუგებრობა“ რე—მისა მას არ ეკუთვნის, ხსენებულ წერილის დამწერი სულ სხვა პირია.

**ხაშმის სამინისტრო ორკლასიანი სკოლის** გამგე-მასწავლებელი ალ. ესტ. მოზდოკელი, რომელიც თვენახევრით გორს იყო გაწვეული საკონსერვო ცოდნის შესასწავლად, უკვე დაბრუნდა ხაშმს ამ ცოდნის ხალხში გასავრცელებლად, საჭირო იარაღები და საშუალებანი სამოსწავლო მართებლობამ მისცა.

**აღდგომის ორშაბათს გორში** ქართ. დრამ. დასის მსახიობნი წარმოადგენენ „რაც გინახავს— ვეღარ ნახავ“ და „რაც არ მერგება—არ შემერგება“. მონაწილეობენ ვ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, გ. იორდანიშვილი, რ. ჯიბლაძე და სხ.

**სახალხო სახლის სექციათა** წარმომადგენელთა კრებამ 15 მარტს დაადგინა ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას შეიცვალოს 1 მარტს ქალქის თვითმართველობის მიერ განაწილებულ დღეების რიგი, ბერძნებსა და აისორებს დაუბრუნდეს წართმეული დღეები, რომლებიც ქართ. დრამატიულ დასს გარდაეცა და სხ.

**ახალგაზდა კრიტიკოს-ლექტორი მ. წულუკიძე** სწერს თანამედროვე მგოსნების ნაწარმოებთა მიმოხილვას.

**„ახალი კლუბის“ წევრთა** საზოგადო კრებაზე 15 მარტს მამასახლისებად აირჩიეს: მ, ნ. კვეზერელ-კოპაძე, ნ. გ. ქართველიშვილი, ზ. პ. ფალიაშვილი, თავ. ი. რ. მაყაშვილი, თავ. ალ. ნ. დიასამიძე, თავ. ნ. დ, ერისთავი, გ. ვ. სარაჯიშვილი, თ. გ. ვ. ბაგრატიონ-მუხრანელი და ა. გ. სარაჯიშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად: თავ. კ. პ. თუმანიშვილი, კ. ი. თულაშვილი, კ. დ. მალალაშვილი, დ. ვ. ცინცაძე, ს გ. ტარიელაშვილი და ვ, კორინთელი.

**ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების კრება** შესდგა 15 მარტს, დ.ერისთავმდივნის (განდეგილის) თავმჯდომარეობით. საზოგადობამ მოქმედება დაიწყო 21 ოქტ. 1913 წ. ლექციების მართვა-მოწყობით. 1914 წ. გამოაცხადა „ანკეტა ქართველ ქალთა შესახებ“, მცხეთაში გაალო განყოფილება დ. ი. მრევლიშვილის ხელმძღვანელობით, გამართა 10 ლექცია დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ. საზოგადოების წევრნი დაჭრილთ უვლიდენ ციხის ლაზარეთში, წმიდა ნინოს. ლაზარეთში საკუთარი ხარჯით მოაწყო ორი და სხ. საწოლი კრებამ ანგარიშები დაამტკიცა. გამგეობას დაევალა მოაწყოს საჩაიე დაჭრილთა სასარგებლოდ.

**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** თაოსნობით ნაალდგომევს მოხსენებათ წაიკითხავენ იპ. ვართაგავა „გრიშაშვილის პოეზია-“ს, გ. ჟორდანია—„ადათები-“ს და სხ. მარტის 25-ს არტის, საზოგ. დარბაზში მართავს საგულისხმიერო სალიტერატურო—სასიმღერ-სამუსიკო დილას აკაკის სახელზე.

## მწიგნობრობა

**მივიღეთ ახალი წიგნები:** 1) „სქესობრივი საკითხი და ბავში“, ი. გომართლისა, გამოცემა ს. ნადარეიშვილისა, ფოთი 1914 წ. 65 გვ. ფ. 20 კ. წიგნაკი შედგენილია კერძო წყრილების სახით, სხარტულად, მდაბიოთ და ყველასათვის გასაგები ენით დაწერილი. ასეთი შინაარსის. წიგნაკი თითქმის არ მოგვეპოება ქართულს ენაზე. ავტორი ეხება ფრიად საყურადღებო საგანს და მით უმეტეს საჭიროა ყოველმა დედ-მამამ წაიკითხოს იგი; 2) „ოჯახის ბურჯი“, საყმაწვილო მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა, ქ. შ. წ. გ. სა—ზის ქუთაისის განყოფილების გამოცემა № 8, 19 5 წ. 16 გვ. წიგნაკი შემკულია ხუთის ორიგინალურის სურათით, დაბეჭდილია ლაზათიანად და ჰღირს მხოლოდ ერთი შაური.

| წლიწადი მესამე | **მიიღება ხელმოწერა 1915 წ.** ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერა-ტურო, სახელოვნო და საზოგადოებ-რივ ჟურნალ | წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან. |
|---|---|---|

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

## ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი.

ოთხშაბათს 25 მარტს. 1915 წ. **დილის წარმოდგენა** სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ ქ—ნ **ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

**ხ ა ნ უ მ ა** კომ. **3** მოქ. 4 ს. ა. ცაგარლისა.

II

პირველად ქართულს სცენაზე **განდეგილი**

პოემა ი. ჭავჭავაძისა. წაკითხული იქნება ტანისამოსებსა და გრიმებში. მონაწილეობენ: ქ—ნი **ჩერქეზიშვილი**, ბეჟანიშვილი, ანკარა, ზარდალიშვილისა, ქართველიშვილი, რუის-პირული; ბ—ნი ნ. გოცირიძე, გომელაური, ანაშვილი, ჯაბაური და ჭიაურელი. ადგილების ფასი 50 კ.ნ.—4 კაპ. დასაწყისი შუადღის 12 ს. 30 იანვრისთვის აღებული სალიტერატურო დილის ბილეთები გამოდგება ამ დღეისთვის. რეჟისორი **კ. შათირიშვილი**. გამგე **გ. ჯაბაური**

## ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

**ოთხშაბათს, 25 მარტს 1915 წ.**

თბილისის ქართულ დრამატ. დასის მსახიობთა ამხანაგობის-მიერ წარმოდგენილი იქნება:

I **ლ ა მ ე**

დრამატ. ეტ. 1 მ. გადმოკეთებული თუთბერიძის მიერ

II **ფ უ ლ ი და ხ ა რ ი ს ხ ი**

კომედია 3 მოქ. ნ. აზიანისა

**მონაწილეობს მთელი დასი**

ადგილების ფასი 1 მ. 20 კ-დან 10 კ-მდე.
დასაწყისი საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე

რეჟისორი **მ. ქორელი**

---

**იაფად** ისყიდება ხელნაწერი **პიესები**

უბედური ნაბიჯი, გაცარცული ფოსტა; პარიზის ღარიბ-ღატაკნი; მელანიას ოინები; კრეჩინსკის ქორწინება; ორი გმირი; ორი დარაჯი; ორი ობოლი; კაი გრაკხი; მგოსანი; ბედს ვერ წაუხვალ; დამნაშავეა?; (ორი პიესა) დღენი ჩვენი ცხოვრებისა (2 პიესა); ბაგრატ მეოთხე; ცხოვრების გმირი;

**მოიკითხეთ** აბას აბათის შესახვევში (პერ.), სახ. ნიკოგოსოვისა, არტაშეს ხოჯიხანოვთან.




## ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (ჟ)

ხელმეორედ დაიბეჭდა და იყიდება

სურათი

## საქართველოს მნათობნი

**შოთა, აკაკი და ილია**

ფასი: 50 კ. ვინც ოც ცალს ერთად დაიკვეთს, 20% დაეთმობა. მისამართი: თბილისი, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიაში. (5—3)

ამ ლახან გაიხსნა

## ა ფ თ ი ა ქ ი

პროვიზორის **ა. ს. ახვლედიანისა**

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე), მოწყობილია საუკეთესოდ ლაბორატორიით, სრული ყოველ გვარი წამლებით, სამკურნალო საგნებით და სხ. (5—1

ჟურნალი

## „თეატრი და ცხოვრება“

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გარდაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორა

## „განთიადი“-ს

**გიორგი მაქ. მახარაძეს**

მიხეილის პროსპექტი, № 18. ფოსტის ყუთი № 21.

ყველა გამყიდველი თბილისისა და პროვინციისა მას უნდა მიმართონ.

## ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი

**სამშაბათს, 24 მარტს**

## დილით

ქართულ დრამ. მსახიობთა მიერ **ვალერიან გუნიას** მეთაურობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ისტორიული დრამა

# ღ ა ლ ა ტ ი

უმთავრეს როლებს შეასრულებენ ზეინაბი—ნ. დათიაშვილი, გაიანე—ტ. აბაშიძე, რუქაია—პიერეტა, ისახარ—ე. ჩერქეზიშვილი, ბესო—ვ. აბაშიძე, დათო ალ. იმედაშვილი, ერეკლე—დ. მგალობლიშვილი, ანანია—ვ. გამყრელიძე, საბა ბერი—ი. ივანიძე ოთარბეგი—ვალ. გუნია.

ბილეთების ფასი 20—კ. 2მ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი დილის 12 საათზე

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОН[торa] „ГАНТІАДИ“ ТИФЛИСЪ Михайловскiи пр. 18 ПЕРIОДИЧЕСКИХЪ из[данiй]

Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“